ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 84

"15" მაისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ერწოს ქ. №15-ის მიმდებარედ არსებული 2 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.12.08.010.053) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ერწოს ქ. №15-ის მიმდებარედ არსებული 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.12.08.010.053) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 მარტის №20.253.322 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: „ქალაქ თბილისში, ერწოს ქ. №15-ის მიმდებარედ არსებული 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.12.08.010.053) გაცვლის ფორმით საპრივატიზებო საფასურით - 487 000 (ოთხას ოთხმოცდაშვიდი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, ზოია ძაბირაძის (პ/ნ: 01023007082) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილის დასაწყისში, ელ. ქვესადგურისა და იმედაძის ქუჩის დასაწყისის მიმდებარედ არსებული 280 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.08.005.014) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი, ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**